სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030660502728119

25 / იანვარი / 2019 წ. **თბილისი #06-28/ო**

წითელას და წითურას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის № 693 დადგენილების მე-2 დანართის (,,იმუნიზაცია") მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის და „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის № 107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ‘’გ’’ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წითელას და წითურას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განსახორციელებლად, არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ მოსახლეობაში ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოების მიზნით, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) წითელას და წითურას საწინააღმდეგო ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკა წითელას და წითურას კომპონენტის შემცველი ვაქცინით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, მიუხედავად მოქალაქეობის სტატუსისა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა.ა) არასრულად აცრილ ან აუცრელ 1-დან 19 წლამდე ბავშვებში, იმუნიზაციის სტატუსის გათვალისწინებით;

ა.ბ) 19 და უფროსი ასაკის პირების ერთჯერადი ვაქცინაცია აცრის სტატუსის მიუხედავად;

ა.გ) სამედიცინო პერსონალის ერთჯერადი ვაქცინაცია;

ა.დ) წითელას სავარაუდო შემთხვევის გამოვლენისას, ოჯახისა და სხვა ორგანიზებული კონტაქტების ერთჯერადი ვაქცინაცია;

ა.ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული კონტინგენტის ერთჯერადი ვაქცინაცია.

ა.ვ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამასახურში მოთავსებული პირების და მომუშავე პერსონალის ერთჯერადი ვაქცინაცია;

ა.ზ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებლებში დასაქმებული პირების ერთჯერადი ვაქცინაცია;

ბ) მიმწოდებლის მიერ ჩატარებული აცრების დარეგისტრირება იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში, ვაქცინირებული პირებისთვის აცრის ჩატარების დამადასტურებელი ცნობის გაცემა, ანგარიშგება მუნიციპალურ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრებში (შემდგომში - მუნიციპალური სჯდ ცენტრი);

ბ.ა) მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სავარაუდო ასაცრელი კონტინგენტის რაოდენობის დადგენა და ანგარიშგება;

ბ.ბ) მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ ჩატარებული აცრების შესახებ ყოველთვიური ანგარიშგება სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი).

გ) ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის განხორციელების მიზნით, გაწეული აცრა-ვიზიტების მომსახურების ღირებულება აუნაზღაურდეთ იმ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ვაქცინის ადმინისტრირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს და დარეგისტრირებული არიან „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლად;

დ) ამ წესის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიმწოდებელი ვალდებულია, დასაფინანსებლად ცენტრს წარუდგინოს მხოლოდ წინამდებარე წესის საფუძველზე (არა რუტინული, არა აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად) ჩატარებული აცრა-ვიზიტის მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნა;

ე) მომსახურების ზედამხედველობა ხორციელდება ცენტრის მიერ, „2019 წლის ჯანმრთელობის

დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის № 693 დადგენილებით განსაზღვრული გეგმური ამბულატორიული შემთხვევების ზედამხედველობის წესის შესაბამისად;

ვ) ამ წესით გათვალისწინებული ღონისძიებების ადმინისტრირებისათვის გამოიყენება ცენტრის მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, დამტკიცებული ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია.

2. მუნიციპალურ სჯდ ცენტრებს ეთხოვოთ:

ა) განახორციელონ საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღრიცხვაზე მყოფი ბავშვების აცრების სტატუსის შესწავლის ორგანიზება.

ბ) სასწავლო/საგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულად აცრილი ან აუცრელი პირების გამოვლენისას, მშობლის/სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, უზრუნველყონ ასაცრელი ჯგუფების ორგანიზება სამედიცინო დაწესებულებაში გადასაყვანად.

3. დაევალოს ცენტრის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს (ნ. ქავთარაძე), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge..

4. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წითელას და წითურას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის 7 მარტის #06-45/ო ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დამდგარ შემთხვევებზე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე